



პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

## ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებისთვის საქართველოში (ENPARD საქართველო)

### ფერმერული კოოპერატივების გაძლიერება საქართველოს სასოფლო მუნიციპალიტეტებში

პროგრამის განხორციელების ვადა: 1 იანვარი, 2014 წელი - 31 დეკემბერი, 2017 წელი

პროგრამა ხორციელდება საქართველოს 5 რეგიონის 16 მუნიციპალიტეტში.

- შიდა ქართლი: გორი, ქარელი, ხაშური, კასპი
- ქვემო ქართლი: გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო
- კახეთი: საგარეჯო, გურჯაანი, ყვარელი
- იმერეთი: საჩხერე, ჭიათურა, ვანი, სამტრედია
- სამცხე-ჯავახეთი: ახალქალაქი, ნინოწმინდა

პროგრამას ახორციელებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია მერსი ქორფსი სამ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, ესენი არიან:

- საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია - ABCO- Georgia
- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - GIPA
- კავშირი აგრო-სერვისი

#### პროგრამის ძირითადი ამოცანა:

- ◆ წვლილი შეიტანოს სოფლად მცხოვრები ფერმერების სიღარიბის დონის შემცირებაში სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს-ორიენტირებული კოოპერატივების განვითარების მეშვეობით;
- ◆ უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მომსახურების ზრდა;
- ◆ გააძლიეროს კავშირები ფერმერებსა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მიმწოდებლებს შორის;
- ◆ ხელი შეუწყოს ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარებას;
- ◆ დაეხმაროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გაზრდილი შემოსავლების მიღებაში ;



#### პროგრამის სპეციფიკური ამოცანა:

ხელი შეუწყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელებას ფერმერული ჯგუფების, სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მიმწოდებლებისა და სახელმწიფო სექტორის შესაძლებლობების ზრდის მეშვეობით.



## დასახული მიზნების მისაღწევად აქცენტი გაკეთდება სამ ძირითად მიმართულებაზე, რათა :

1. გაძლიერდეს ფერმერული ჯგუფები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის მეშვეობით;
2. გაძლიერდეს დამხმარე მომსახურების სექტორი, რათა ფერმერებს ჰქონდეთ მდგრადი და გრძელვადიანი ხელმისაწვდომობა საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე;
3. გაძლიერდეს ფერმერთა აზრის გათვალისწინება სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, რათა ჯგუფებმა შეძლონ დადებითი ზეგავლენის მოხდენა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაზე იმისთვის, რომ მომავალში უზრუნველყონ საკუთარი წინსვლა.

### პროგრამის საქმიანობები:

პროგრამა ითანამშრომლებს 70 ფერმერულ ჯგუფთან, რომელთაგან თითოეულში საშუალოდ 20 წევრი გაერთიანდება. ფერმერული ჯგუფების წევრების უდიდესი უმრავლესობა მცირე ფერმერები იქნებიან. პროგრამა მხარს დაუჭერს, რომ ქალები შეადგენდნენ თითოეული ფერმერული ჯგუფის წევრთა მინიმუმ 20%-ს .

პროგრამა მიზნად ისახავს მოიცვას 60 კერძო სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მიმწოდებელი, რომელთაგან თითოეულს 4 წევრი მაინც ჰყავს.

პროგრამა ხელს შეუწყობს კავშირების დამყარებას სახელმწიფო მომსახურების მიმწოდებლებსა და ბიზნეს-ორიენტირებულ ფერმერულ ჯგუფებს შორის.

პროგრამის ფარგლებში მოხდება არსებული და ახალი ფერმერული ჯგუფების დატრენინგება. ამ ტრენინგების ძირითადი მიზანია გაზარდოს ბიზნეს-ორიენტირებული ფერმერული ჯგუფების შესაძლებლობები, რათა მათ გამოიყენონ მიღებული ცოდნა საკუთარი საქმიანობის დროს.

ტრენინგები მოიცავს შემდეგ თემებს:

- ◆ ფერმერთა კოოპერაცია
- ◆ ორგანიზაციული განვითარება
- ◆ ბიზნესის დაგეგმარება
- ◆ ბუღალტერია და საგადასახადო წესები
- ◆ თანამედროვე და ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები
- ◆ საკვების შენახვა და გადამუშავება
- ◆ პირუტყვის ჯანმრთელობა/ვეტერინარია
- ◆ ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება
- ◆ სურსათის ჰიგიენა და უვნებლობა
- ◆ მარკეტინგი
- ◆ გენდერი
- ◆ ლიდერობა და ადვოკატირება



პროგრამის ფარგლებში შერჩეული ბიზნეს-ორიენტირებული ფერმერული ჯგუფები (როგორც არსებული, ასევე ახლად შექმნილი) დაფინანსდება ქვეგრანტით. თითოეული ქვეგრანტის საშუალო თანხა 15,000 ევროს შეადგენს. ფერმერთა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს პროექტში მინიმუმ 30%-იანი თანამონაწილეობა, საიდანაც 15% იქნება ნაღდი ფული. საერთო ჯამში გაცემული იქნება 70 გრანტი.

აგრეთვე პროგრამა გასცემს გრანტებს სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მიმწოდებლებისთვის, თანადაფინანსების საფუძველზე. თითოეული გრანტის საშუალო თანხა შეადგენს 7,000 ევროს. სასოფლო-

სამეურნეო მომსახურებების მიმწოდებლების თანადაფინანსება უნდა იყოს მინიმუმ 40%, აქედან, მინიმუმ 25% უნდა იყოს ფულადი სახით. საერთო ჯამში, გაიცემა 60 გრანტი.

## იქ, სადაც თვითი უღონოა, ღონიერი არიან ყველანი ერთად

ილია ჭავჭავაძე

„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“

ტფილისი 7 იანვარი 1893 წელი

### რატომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი?

კოოპერატივების შექმნა ევროპის ქვეყნებში, მე-19 საუკუნეში, განაპირობა რთულმა ეკონომიკურ-სოციალურმა გარემოებებმა. მათ აღმოაჩინეს, რომ რასაც ვერ უმკლავდებოდნენ მარტო, შეეძლოთ მიედწიათ გაერთიანებული ძალებით. ასე მათ შეძლეს გაუმჯობესებინათ ხელმისაწვდომობა ბაზრებზე, კერძოდ: შესყიდვის, წარმოების, გადამამუშავების, მარკეტინგის, დისტრიბუციის და პოპულარიზაციის საკითხებში და რადგანაც ამ მიმართულებამ წარმატება მოუტანა ევროპელ ფერმერებს, ამიტომ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები დღესაც არის ევროკავშირის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ელემენტი.

## სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი კოლმეურნეობა არ არის!

საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად, 2013 წლის 12 ივლისს, საკანონმდებლო ორგანომ “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონი” მიიღო. კანონის მიხედვით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს.



ხელისუფლებამ ფერმერთა ნებაყოფლობითი, სარგებელზე ორიენტირებული კოოპერაციის განვითარება ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად აირჩია, რადგან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს:

- ◆ მოსავლიანობის გაზრდას;
- ◆ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას;
- ◆ სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას;
- ◆ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების შემცირებას;
- ◆ პროდუქციის რეალიზაციის გაუმჯობესებას;

ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად გაერთიანების ძირითადი პრინციპები:

- |                         |   |   |
|-------------------------|---|---|
| ნებაყოფლობითობა!        | ➔ | კოოპერატივში გაწევრიანება ნებაყოფლობითია  |
| თანასწორუფლებიანობა!    | ➔ | ერთი წევრი = ერთი ხმა   |
| დემოკრატიულობა!         | ➔ | გადაწყვეტილებებს წევრები ერთობლივად იღებენ  |
| რესურსების გაერთიანება! | ➔ | ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, ინტელექტუალური და მრომითი რესურსების ერთობლიობა |

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის უპირატესობები:**

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებს შემოსავალი მეტი აქვთ, ხარჯი კი ნაკლები;
- ინდივიდუალური ფერმერების საქმიანობა წარმართება მხოლოდ დაბალტექნოლოგიურ დონეზე, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ სამეწარმეო განვითარებას;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი კრედიტუნარიანად ითვლება და საკრედიტო რესურსი მისთვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ცალკეული ფერმერისთვის;
- სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უფასო სწავლება-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა პროგრამები;
- აგრო და სხვა საჭირო მასალებზე შემცირებული ფასი ერთიანი საბითუმო შესყიდვებისას;
- პროდუქციის წარმოების ზრდა;
- სტაბილურ ბაზარზე ხელმისაწვდომობა;
- საექსპორტო პოტენციალის შექმნა.

**რა შედეგებით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები?**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს აქვს შესაძლებლობა მიიღოს გრანტი ;  
 ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ხელშემწყობი პროგრამებით ;  
 მოგების გადასახადით არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით (პირველადი წარმოება) მიღებული შემოსავალი და გრანტი ;  
 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან დაკავშირებით, არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც მაგალითად შპს-ს შემთხვევაში, 200 000 ლარს შეადგენს;;  
 ქონების გადასახადით არ იბეგრება კოოპერატივის ქონება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის;  
 სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება;  
 საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება კოოპერატივის საქმიანობის ფარგლებში კოოპერატივის წევრების მიერ მიღებული დივიდენდი.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით :**

**მერსი ქორფსი :**

თბილისი, გეგეჭკორის ქ. # 6, ტელ: 225 24 71  
 გიგა სარუხანიშვილი ტელ: 599 56 62 92  
 ირაკლი ხეროდინაშვილი ტელ: 595 85 88 87  
 თინათინ ონაშვილი ტელ: 595 01 01 68  
 ახალქალაქი, თავისუფლების ქ. # 70  
 სერგეი შახბეკიანი ტელ: 599193662

**კავშირი აგრო-სერვისი.**

თბილისი აბაშიძის ქ.# 81 ბინა 4 ტელ: 0790 87 36 80  
 ინგა ლავოშვილი, ტელ: 599 72 89 80  
 ვასილ ბასილაძე, ტელ : 577 71 31 71  
 გორი, ცხინვალის გზატკეცილი # 4  
 გიორგი თედიაშვილი ტელ: 595 07 52 49  
 ირაკლი ჯავახიშვილი ტელ: 599 96 90 14

**საჩხერე, თამარ მეფის ქ. # 53**

ამირან ჭილაძე ტელ: 595 90 06 49

**საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)**

თბილისი, ბროსეს ქ. #2 ტელ: 291 06 07  
 ირაკლი მიქელაძე ტელ: 599 15 83 83

**ქუთაისი, გოგებაშვილის ქ. #12**

ნუგზარ ჯინჯიხაძე ტელ: 599 91 00 56

**გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფხვენისი, ინტეგრირებული სოციო-ეკონომიკური ზონა.**

ვასილ ბუთხუზი ტელ: 599 46 87 46

**საქართველოს ბიზნეს საკუნსულტაციო ორგანიზაციათა ასოციაცია (ABCO)**

თბილისი, ყიფშიძის ქ. # 7, ტელ: 299 90 77, 225 00 85

გურჯაანის რაიონი სოფელი კაჭრეთი.საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ (პროფ.ტექნიკუმი)

ირაკლი ლოდობერიძე, ტელ.: 599 17 27 19



წინამდებარე ბროშურის შინაარსზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მერსი ქორფსს და იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ევროკავშირის მოსაზრებებსა და შეხედულებებს

